ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №689392

ნომერი: AR193753

თარიღი : 20.11.2012

გაცემის თარიღი : 15.05.2013

გაცნობის თარიღი : 19.05.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პეტრიაშვილი პ/ნ 01008036063
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა განცხადება და თანდართული

საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა შემდეგი:

2012 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR193753 განცხადებით მომართა მოქ. დავით პეტრიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასალის ქ. N 1–ის მიმდებარედ ღია ბარის მოწყობის საკითხის განხილვა. საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულ სამეცნიერო- მეთოდურ საბჭოს, რომლის დასკვნის თანახმად, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით (გადაწყვეტილება–დოკუმენტი №440556, 27.11.2012). ამასთან ერთად საპროექტო დოკუმენტაციას დაუდგინდა ხარვეზები (გადაწყვეტილება №452312, 30.11.2012 და №466517, 11.12.2012), კერძოდ არ იყო წარმოდგენილი:

1. არსებული და საპროექტო ვითარების ამსახველი გენგეგმა –წითელი ხაზების აღნიშვნით;
2. შესაბამისი საბუთი–თანხმობა (ფართობის მითითებით) საზოგადოებრივ სივრცეში ღია ბარის მოწყობასთან დაკავშირებით.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისას დადგინდა, რომ ხარვეზები სრულად არ არის შესწორებული, კერძოდ:

1. არ არის წარმოდგენილი ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა (ფართობის მითითებით) საზოგადოებრივ სივრცეში ღია ბარის მოწყობასთან დაკავშირებით;
2. წარმოდგენილი გეგემები შესრულებულია ხარვეზით, კერძოდ, არ ასახავს არსებული და საპროექტო ვითარების სრულ სურათს, მათ შორის არ არის აღნიშნული ტროტუარის დარჩენილი საფეხმავლო ზოლის სიგანე. აგრეთვე ერთერთ გეგმაზე წარმოდგენილია კიბე, მაგრამ არ არის მითითებული არსებულია ის თუ საპროექტო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და თანახმად გადაწყვეტილებისა №466517, 11.12.2012, დადგენილ ვადაში მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, წინამდებარე განცხადება AR193753, 20.11.2012 დარჩა განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.